№4 2013

# მასწავლებელი



საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი აქტიურად მუშაობს მასწავლებელთა დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნული მასალა ხელს უწყობს როგორც, ზოგადად, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, ასევე სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მზადებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემების შეძენის მსურველებმა პუბლიკაციის ღირებულების შესაბამისი თანხა უნდა გადარიცხონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე:

სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი: CBASGE22
ანგარიშის ნომერი: 134983
მიმღები: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
საიდენტიფიკაციო კოდი: 202 374 251

ქვითარში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული გამოცემის სახელწოდება. გადარიცხვის შემდეგ ქვითარი უნდა წარედგინოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან/და სკოლის ადმინისტრაციას, რომელმაც წერილობით უნდა აცნობოს ცენტრს პედაგოგების მიერ გამოწერილი პუბლიკაციებისა და საჭირო რაოდენობების შესახებ. საჯარო სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები გამოწერილ გამოცემებს მიიღებენ სკოლაში, ცენტრის მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე.

თბილისი 0102
გმირ კურსანტთა ქ. №1

ცენტრის გამოცემების შეძენა შესაძლებელია „პრიმა ჯგუფი 2009“ წიგნის მაღაზიაში – ქ. თბილისი, დადიანის ქ. 43
ტელ.: 296 62 38

www.tpdc.ge

დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორებისთვის





კითხვის ეფექტური მეთოდები
სასწავლო მეთოდური ფილმი (DVD) და მისი გზამკვლევი







მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელო სამ ნაწილად:

1. განვითარებისა და სწავლის თეორიები
2. სწავლება და შეფასება
3. სასწავლო და პროფესიული გარემო

ჟურნალი „მასწავლებელი“





# რედაქტორისგან

„ჩვენს სკოლაში ვინმეს რომ ჰქონოდა წაკითხული ამ ტიპის ლიტერატურა, ის არ მოხდებოდა, რაც წელს მოხდა მე-9 კლასის მათემატიკის გამოცდაზე“, – ასე გამოეხმაურა მასწავლებელი მაია ქევხიშვილი ინტერნეტგაზეთ “mastsavlebeli.ge”-ში გამოქვეყნებულ მანანა ბოჭორიშვილის სტატიას „ტესტური დავალების ტიპები და პედაგოგიური ტესტის შექმნის მნიშვნელოვანი პროცედურები“.

თითოეული სტატიის, საგანმანათლებლო რესურსისა თუ ბლოგის შერჩევისა და გამოქვეყნებისას იმით ვხელმძღვანელობ, რამდენად სჭირდება, რამდენად გამოადგება ის მასწავლებელს და, უბრალოდ, მკითხველს.

არ ვიცი, გამოგვდის თუ არა, მაგრამ იმედით ვართ, რომ, ასე თუ ისე, ვახერხებთ.

მას შემდეგ, რაც მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები გამოქვეყნდა, უფრო მეტად დავფიქრდი იმაზე, რამდენად ხშირად კითხულობენ მასწავლებლები ჩვენს საგანმანათლებლო რესურსებს, რამდენად მართებულია მასალების შერჩევისა და მათთვის მიწოდების ჩვენეული სტრატეგია.

იქნებ რესურსების მიწოდებასთან ერთად უფრო ხშირად უნდა ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, სასწავლო პროცესში, გამოცდების მიმდინარეობისა თუ მათთვის მზადებისას რომ ვეჯახებით?

სტატიაში „მასწავლებლის პრესტიჟი“ სიმონ ჯანაშიამ აღნიშნა, რომ მედიით მასწავლებლების შესახებ პოზიტიური ინფორმაციის გავრცელება საქართველოში იშვიათია.

ძნელია, არ დაეთანხმო. თუმცა, ჩვენი ჟურნალისა და გაზეთის თითოეული სტატია მასწავლებლის წარმატებას ემსახურება, არც წარმატებულ პედაგოგებს ვტოვებთ უყურადღებოდ, თავისთავად, მათზე წერა არასოდეს იქნება საკმარისი, ისევე როგორც, ვაღიაროთ, არ გვყავს საკმარისი რაოდენობის წარმატებული მასწავლებელი. ჩვენ ყოველთვის ვეცდებით მათ მხარდაჭერას – გაზეთის დანიშნულება ხომ, გარდა მასწავლებლების თვითგანვითარების ხელშეწყობისა, მათი პროფესიის პოპულარიზაციაც არის.

გადამწყვეტი სიტყვა იმის თაობაზე, რა სჭირდება, რა გზებითა და საშუალებებით იზრუნებს თავის პროფესიულ განვითარებაზე, სახელმწიფო პოლიტიკიდან გამომდინარე, მასწავლებელმა თავად უნდა თქვას, ამიტომ ხშირად მოგვწერეთ და ვისაუბროთ საერთო საზრუნავსა და „მასწავლებელთა სევდაზე“.

ნატო ინგოროყვა
*მთავარი რედაქტორი*

N4(28),2013
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.
პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

**რედკოლეგია:** გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

**ნომერზე მუშაობდნენ:** მანანა ბოჭორიშვილი, თეო ნეფარიძე, მაია ფირჩხაძე, ირინა აბულაძე, ქეთევან ქობალია, ეკატერინე შავერდაშვილი, ნესტან რატიანი, გიორგი ნოზაძე, მარინე ჯაფარიძე, ნინო ლაბარტყავა, მერაბ ლაბაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

**საკონტაქტო ინფორმაცია:** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge




ინტერვიუ

ნატო ინგოროყვა

4 მასწავლებელი იგრძნობს, რომ სახელმწიფო და სამინისტრო მის გვერდით არიან

უპირველესად, მინდა ვუთხრა მასწავლებლებს – ნუ შეეშინდებათ. ჩვენ ამ გამოცდების შედეგებს არც შევუშინებივართ და არც პედაგოგებისადმი უნდობლად განვუწყვივართ. პირიქით – მათ ისეთი პერიოდი გამოიარეს, კიდევ რომ შერჩათ მოტივაცია, ისწავლონ და თვითგანვითარებაზე იზრუნონ, ვფიქრობ, გმირობის ტოლფასია.

ექსპერტი

მანანა ბოჭორიშვილი

7 სოციალურ-კულტურული თეორია და პედაგოგიკა

იმისათვის, რომ განვითარების უახლოესი ზონის ფარგლებში ვასწავლოთ, აუცილებელია, ვიცოდეთ, კოგნიტური განვითარების რა დონეზე იმყოფებიან მოსწავლეები: უნდა შევაფასოთ, დავალებების/ამოცანების დამოუკიდებლად შესრულების როგორი უნარი აქვთ და რისი გაკეთება შეუძლიათ სხვების დახმარებით.

ირინა აბულაძე

15 ასწავლე წარმატებისთვის!

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე ვნახოთ, რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს სტანდარტიზებულმა ტესტირებებმა სასკოლო კურიკულუმზე, თუ სკოლაში მასწავლებელი სწავლების ეფექტურ სტრატეგიებს არ შეარჩევს.

მოსაზრება

თეო ნეფარიძე

11 მასწავლებლის თვითშეფასების ეფექტური ინსტრუმენტები

წინამდებარე წერილში მასწავლებელთა თვითშეფასების დადებით მხარეებს, თვითშეფასების ინსტრუმენტებს და მათ გამოყენებას, აგრეთვე შესაძლო სირთულეებს მიმოვიხილავთ.

გიორგი ნოზაძე

19 კიდევ ერთხელ განმავითარებელი შეფასების შესახებ

განმავითარებელი შეფასების მიზანი და დანიშნულებაა მოსწავლისა და პედაგოგის ინფორმირება სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ და ამ გზაზე მათთვის მიმართულების მიცემა.

ეკატერინე შავერდაშვილი

31 ტექსტზე მუშაობა და კითხვის სტრატეგიები უცხო ენის გაკვეთილზე

უცხოენოვანი ტექსტის კითხვის დროს მოსწავლეები ბევრ სირთულეს აწყდებიან, რაც არა მარტო ლექსიკური ერთეულებისა თუ გრამატიკული წესების, უცხო ქვეყნის სოციალური თუ კულტურული მოვლენების არცოდნას უკავშირდება, არამედ ენის ათვისებისას უცხოენოვან ტექსტზე მუშაობის არასწორ სტრატეგიებსა და ხერხებსაც.

ნესტან რატიანი

35 იაზროვნე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად!

როგორ უნდა შეუწყონ ხელი სკოლამ და მასწავლებელმა ისეთი მოსწავლის აღზრდას, რომელიც მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით გამოირჩევა? ვნახოთ, რას გვთავაზობს საერთაშორისო გამოცდილება.




# შინაარსი



47


რესურსი

მაია ფირჩხაძე

23 | სტრუქტურულ-ლოგიკური სქემების გამოყენება ისტორიის სწავლებისას

ისტორიის სწავლებისას ძირითადად იყენებენ ლოგიკურ სქემებს და ტაბულებს, ასევე დიაგრამებს, გრაფიკულ, ტექნიკურ ნახაზებს და სხვ. ისინი მოხერხებულია იმდენად, რამდენადაც მათში თვალნათლივ ჩანს მიმდინარე მოვლენები და მათ შორის არსებული კავშირები.

ქეთევან ქობალია

39 | უფროსკლასელების ფსიქომოტორული უნარების განვითარება

ადამიანის მრავალ პრობლემას შორის ფსიქომოტორული უნარები განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ეს უკავშირდება იმას, რომ ადამიანის ყველა სახის აქტივობა გარკვეულ მოძრაობას გულისხმობს.

თეო ქყოიძე

43 | აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ

სტატია განიხილავს იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს დამოუკიდებელ და წარმატებულ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში. განხილულია აგრეთვე ამ უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობა სწავლება-სწავლის პროცესში.






ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30





რესურსი

მარინე ჯაფარიძე

47 | რა უნდა ვიცოდეთ სასკოლო შფოთვის შესახებ

სასკოლო შფოთვა შფოთვის სპეციფიკურ სახეობას წარმოადგენს. იგი ვნებს მოსწავლის ცხოვრების ყველა სფეროს: სწავლას, სკოლისგარე ურთიერთობებს, ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ კეთილდღეობას. იგი ბავშვის სასკოლო დეზადაპტაციის ყველაზე გავრცელებული მიზეზია.

ნინო ლაბარტყავა

50 | მოსწავლეთა ლიტერატურის ინტერესების განვითარება

დ. უზნაძის და შ. ბიულერის მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები ალბათ დიდ დახმარებას გაუწევს მკითხველს ბავშვებისთვის საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში.

მერაბ ლაბაძე

53 | საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიური საგნები – მომავალი წარმატების კარიბჭე

განათლების სისტემები სწრაფად ცვალებად გარემოში წარმატების მისაღწევად აუცილებელ ცოდნასა და უნარებს ხშირად ვერ იძლეოდა. ამავე დროს მკვეთრად გაიზარდა იმ პროფესიებისა და სამუშაო ადგილების რაოდენობა, რომლებიც დაკავშირებულია საბუნებისმეტყველო საგნებთან, ტექნოლოგიასა და ინჟინერიასთან.